პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 62 (18904) კვირა, 11 მარტი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

ვუსწორდეთ იანვრის მაჩვენებლებს!

იანვარში მიღწეულია ერთობ შთამბეჭდავი წარმატებანი ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით. ახლა ამოცანა ის არის, რომ შევინარჩუნოთ მიღწეული ტემპი, საერთო განწყობა...

ე. შევარდნაძე.

მართლაც არნახული შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული ჩვენს რესპუბლიკაში სკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XV პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ამაზე მეტყველებს მიმდინარე წლის პირველი შედეგები. სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპმა იანვარში 108,2 პროცენტი შეადგინა. წარმოების მოცულობის ასეთი მკვეთრი გადიდებისათვის რესპუბლიკის ინდუსტრიას უკანასკნელი წლების მანძილზე ჯერ არ მიუღწევია და ეს ითქვა კიდეც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომაზე, რომელზეც განიხილეს წლის პირველ თვეში რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები და დასახეს პირველი კვარტალის საგეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა უთუო რეალიზაციის ამოცანები.

წარმატება, რაღა თქმა უნდა, უპირველესად, შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის ბრძოლამ განაპირობა. ...

... შები ათმილიონობით მანეთით ნაკლებია. საქმის ასეთი ვითარება მიზანდასახულობათა განხორციელებას ვერ უზრუნველყოფს. მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა დონეზე ზრდის ტემპის მისაღწევად წლევანდელ წარმოების მოცულობა ხელ ცოტა 6,1 პროცენტით უნდა გაიზარდოს. ეს კი გეგმის გადამეტებით 300 მილიონი მანეთის პროდუქციის გამოშვებას გულისხმობს. ასეთი მიჯნის დაძლევა ადვილი არ არის, მაგრამ სავსებით რეალურია. პრაქტიკულად, საწარმოთა აბსოლუტურ უმეტესობას აქვს პოტენციური შესაძლებლობები ეფექტიანობის შეუნელებელი ამაღლებისათვის.

როგორც გაერთიანებულ ბიუროს სხდომაზე, ისე პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე აღინიშნა ის ყოვლად შეუწყნარებელი ფაქტი, რომ, მიუხედავად იანვარში მიღწეული კარგი საერთო შედეგებისა, შრომის ნაყოფიერების ზრდის მიმართულებით ყველაფერი რიგზე როდია. ამ მაჩვენებელს წლის პირველ თვეში ვერ მოერია ყოველი მეოთხე საწარმო. გამოდის, რომ საერთო მნიშვნელოვანი მიღწევის ზურგს უკან 222 საწარმო იმალება და ინაწილებს სხვების დიდ წარმატებას. ეს, უპირველესად, ეხება „კავკასტრანსფორმატორის" საწარმოო გაერთიანებას, თბილისის აგრეგატის, ...

მიწათმოქმედთა საგაზაფხულო საზრუნავი

გაზაფხულის მოსვლამ საზრუნავი მოუმატა სოფლის მშრომელებს. საქინფორმის კორესპონდენტთა ინფორმაციები გვაუწყებს, თუ როგორ მიმდინარეობს სამუშაოები სოფლად.

წითელწყარო. მზად არის ყველა სათესი და ნიადაგდამამუშავებელი მანქანა, ტრაქტორებისა და მარცვლეულის ახალები კომბაინების მნიშვნელოვანი ნაწილი სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში.

ამას უწინარეს ყოვლისა სარემონტო კონვეიერის მუშაობის ზუსტი ორგანიზაციით მიაღწიეს. აქ ფართოდ დაინერგა მანქანების „ბაჟანსალების" აგრეგატულ-საკვანძო მეთოდი.

მიწათმოქმედთა მაგალითისამებრ გადააკეთეს სარემონტო სამუშაოები რაიონის სხვა მეურნეობებმაც. სწრაფად და ხარისხიანად მიმდინარეობს ეს სამუშაოები სოფლების ქვემო ქედის, ზემო მაჩხაანის, არხილოსკალოს, ჭიქარიძისა და სხვა კოლმეურნეობებში.

გორი. რაიონის მშრომელებს ახლა განსაკუთრებით სწრაფი ტემპით შეაქვთ მინდვრებში ორგა...

დროულად იჭერენ თადარიგს

...ნული სასუქები, ვიდრე ოდესმე წინათ.

რაიონში შექმნილია გაერთიანებული გამსხვილებული მექანიზებული რაზმი, რომელშიც შევიდა როგორც რაისოფლქიმიის გაერთიანების, ასევე სხვა მეურ...

...ტერნიკის ტექნიკაც. ... შეუთის საბჭოთა მეურნეობებში და სხვა მეურნეობებში ... რაოდენობით შეაქვთ ... ვენახებში ... პლანტაციებში, ბაღებში ...

ბოლნ... თესლის მარაგი. თესლი მაღალი სათესი კონდიციისაა.

მყარი მოსავლის მიღება უკანასკნელი წლების დამახასიათებელი თვისებაა. შარშან სოფელ საჯიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში, მაგალითად, საშუალოდ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 35 ცენტნერის ნაცვლად მიიღეს 55 ცენტნერი სიმინდი, ხოლო 12 ცენტნერი სოიის ნაცვლად — 17 ცენტნერი. უხვი მოსავალი მოიწიეს ბევრ სხვა მეურნეობაშიც. ასეთი წარმატების ერთ-ერთი ფაქტორი სათესი მასალის მაღალი ხარისხია.

დიდდება მოგება

ჩხოროწყუს ჩაის ფაბრიკის კოლექტივი დიდნაყოფიერად შრომობს ახალი მიჯნების დასაძლევად. შარშან საწარმოს მშრომელებმა სოლიდური საფუძველი შექმნეს მიმდინარე წლის ამოცანების გადასაწყვეტად: პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის გეგმები შესაბამისად 118 და 105 პროცენტით შესრულდა, ...

ხუთწლედი: წელი მეოთხე

მივბაძოთ ავტოტრანსპორტელებს

ჩვენი რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს დაქვემდებარებული ორგანიზაციების შრომითმა კოლექტივებმა მიმდინარე წლის იანვარში, როგორც ცნობილია, მეტად დამაჯერებელ საგულისხმო შედეგებს მიაღწიეს. სახელმწიფო გეგმები ყველა ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა.

სასიამოვნოა, რომ თებერვალშიც ავტოტრანსპორტელებმა წარმატებით დაძლიეს დასახული მიჯნები და მოკავშირე რესპუბლიკების მონათესავე სამინისტროებს შორის კვლავ ერთ-ერთ პირველ ადგილზე არიან. გასულ თვეში მათ ტვირთბრუნვის გეგმა 101 პროცენტით, ხოლო მგზავრთბრუნვისა 106,5 პროცენტით შეასრულეს. საგრძნობი გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე ტაქსების ფასიანი გარბენისა და სამრეწველო პროდუქციის გამოშვების დავალებები.

სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ზესტაფონის (გენერალური დირექტორი — თ. მარამენიძე), ჭიათურის (გენერალური დირექტორი — ს. სიხარულიძე), ზუგდიდის (გენერალური დირექტორი — ზ. საბიაძე) და წნორის (გენერალური დირექტორი — რ. კიკილაშვილი) ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებების კოლექტივები, ...

თვის გეგმები მათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღისათვის — 4 მარტისათვის შეასრულეს.

მართალია, მარტის შედეგებზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, მაგრამ მტკიცე საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ამ თვისაც და საერთოდ პირველი კვარტალის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები არანაკლებ დამაჯერებელი იქნება.

ახლა სამინისტროს საწარმოებში მიმდინარეობს დაძაბული მუშაობა ტექნიკურ-ორგანიზაციული ხასიათის დიდი კომპლექსური პროგრამის განხორციელებისათვის, პროგრამისა, რომლის შესრულებაც მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს ცენტრალიზებული ტვირთზიდვის მოცულობის, კერძოდ, კონტეინერებით ტვირთზიდვის გადიდებას, დატვირთვა-განტვირთვის დროის მნიშვნელოვან შემცირებას, საწვავის მომჭირნე ხარჯვას.

სკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრისა და 1984 წლის რიგგარეშე თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებებისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XV და XVI პლენუმების გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის ავტოტრანსპორტელების ბრძოლა მისაბაძია.

შ. ამაშუკელი,
„კომუნისტის" კორ.

ფრადიციას არ ღალატობენ

ამბროლაური. (საქ. კორ.). რაიონის სამრეწველო საწარმოთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში კარგ შედეგს აღწევს „საქსახღვინმრეწვის" ამბროლაურის ღვინის ქარხნის (დირექტორი — ე. ბაკურაძე) კოლექტივი. მეღვინეებმა შარშან გადაჭარბებით შეასრულეს როგორც პროდუქციის წარმოების, ისე მისი რეალიზაციის სახელმწიფო გეგმები, დაიწყეს ბრძოლა მიმდინარე სამეურნეო წლის მაღალი მიჯნების დასაძლევად. ახლა ქარხნის კოლექტივის მთელი ყურადღება მიპყრობილია იმისათვის, რომ ყურძნის შარშანდელი მოსავლისაგან დამზადდეს სრულიად ახალი მარკის ნახევრად მშრალი ღვინო. ეს ახალი ღვინო „რაჭულის" სახელწოდებით გამოვა.

ქარხნის კოლექტივი ახლა წარმატებით სძლევს ზამთრის სეზონის სიძნელეებს, ყველაფერს ღონობს იმისათვის, რომ ტექნოლოგიური პროცესის სრული დაცვით გადაამუშაოს მთელი დამზადებული ღვინომასალები. მეღვინეებმა ვალდებულება იკისრეს წელს გეგმის გადამეტებით გადაამუშაონ 79 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, თითოეული მუშის შრომის ნაყოფიერება 1,5 პროცენტით გაზარდონ და დაზოგონ 10 პირობითი ტონა სათბობი, 3 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, საგრძნობლად შეამცირონ დანაკარგები.

დამკვრელურად შრომობს ფოთის საზღვაო ნავსადგურის კოლექტივი თავისი 125 წლისთავის წინ. ნავსადგურის მუშაკები, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს სახალხო-სამეურნეო ტვირთის გადამუშავების ორი თვის გეგმა, ქალაქის სამრეწველო საწარმოებს შორის სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში არიან.

დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოების პროგრესული მეთოდების გამოყენებით დოკერებმა ბევრად შეამცირეს გემების დგომა. მათ შავი ზღვის აუზში ერთ-ერთმა პირველებმა გამოიყენეს პირდაპირი ვარიანტი: გემი — ვაგონი, გემი — ავტომანქანა.

მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი სამი წლის მანძილზე პროგრესული მეთოდით გადაამუშავეს მთელი ტვირთის ნახევარზე მეტი.

სურათებზე: დოკერ-მექანიზატორები ზურაბ კაჭარავა და ზაურ რუხენია განსაზღვრავენ საქონლის დატვირთვის რიგითობას; მიმდინარეობს ტვირთის გადამუშავება პირდაპირი ვარიანტით: გემი — ვაგონი, გემი — ავტომანქანა.

ი. ბოსონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მთავარი პრინციპი—დაინტერესება

გადაწყვეტილებას საქმე უნდა მოჰყვეს

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს კოლეგიამ მოიწონა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ექსპერიმენტი მართვის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფის, სამმართველო აპარატის გაიაფებისა და შემცირების, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა უფრო სრული გამოყენების, მუშაობის მაღალი საბოლოო შედეგების, სამინისტროს სპეციალისტების, საწარმოების ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მუშათა მეტი დაინტერესებისათვის.

— ყოველივე ამან საშუალება მოგვცა გაგვეძლიერებინა სამინისტროს აპარატის გავლენა ძირითადი რგოლის — საწარმოთა მუშაობაზე, — გვითხრა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის პირველმა მოადგილემ შ. ლუხუტაშვილმა. — შუალედური რგოლების გაუქმებით შესაძლებლობა მივიღეთ უშუალოდ ჩავწვდეთ საწარმოთა სამეურნეო საქმიანობას, ოპერატიულად გადავწყვიტოთ წამოჭრილი ...

წარმოების სპეციალისტები მოვალენი არიან კვალიფიციური დახმარება აღმოუჩინონ მეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებაში. ასეთი პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულება უკვე დაიდო იფხაზეთის ასსრ აგროსამრეწველო კომპლექსის ხელმძღვანელობასთან. განზრახული გვაქვს შაქრის მრეწველობაშიც ამავე გზით წავიდეთ.

კოოპერაციის პრინციპი უდევს ...

...ით დამზადების, ვაჭრობისა და სხვა სამინისტროებთან. პარტნიორები ხომ გვიშენებენ საწარმოებს, გვაწვდიან ფქვილს, მოჰყავთ გადასამუშავებელი ნედლეული, ასაღებენ ჩვენ მიერ გამოშვებულ პროდუქციას.

და კიდევ პარტნიორობის ერთი მიმართულების — წესრიგის დამყარებისათვის ბრძოლაში თანამიმდევრულობის შესახებ. ამჟამად ერთ-ერთი საჭირბოროტო საკითხია პურის ხარისხი. მისი გაუმჯობესებისათვის ბევრი რამ გაკეთდა: ტექნიკურად განახლდა ...

დ. თ. უსტინოვი სამშობლოში დაბრუნდა

დელი. 10 მარტი. (საკდეს). დღეს სკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი დ. თ. უსტინოვი, რომელიც აქ ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა ინდოეთის რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით, სამშობლოში გაემგზავრა. ორი ქვეყნის სახელმწიფო დროშებით მორთულ დელის პალამის აეროპორტში იგი გააცილეს ...

„კომუნისტის" საგუშაგო

საქმე წინ მიიწევს

რუსთავის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა თავის პროდუქციას უგზავნის მძიმე მანქანათმშენებელ ქარხნებს და ამით თავისი წვლილი შეაქვს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიულ პოტენციალში. შარშან ამ საწარმოს კოლექტივი დიდ სიძნელეებს წააწყდა. ზაფხულის წვიმებმა დაზიანა სარდაფში მოთავსებული საყალიბე მიწის საშრობი კონვეიერები, სადნობი და საკოკილე საამქროები კი წყლის ნაკლებობას განიცდიდა დიდი ...

...ლობაში უმოქმედო საამქროს დავალება მძიმე ტვირთად დააწვა საწარმოს.

მდგომარეობა იმანაც გაამწვავა, რომ სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს ლითონების გადამამუშავებელი სამმართველოს საწარმოები რუსთავს დიდი დაგვიანებით აწვდიდნენ თუჯისა და ფოლადის ჯართს, რომლის გაბარიტული ზომები ისე იყო დარღვეული, რომ სადნობ ღუმელებში ვერ ეტეოდა.

მაგრამ ჩამორჩენა მარტო ობიექტური მიზეზებით კი არა, შრომისა და საწარმოო დისციპლინის დარღვევითაც იყო გამოწვეული ...

...დომებმა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საქმეში პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ქმედითობის შესუსტებამ.

ყოველივე ამის გამო შარშან პროდუქცია დაგეგმილი ოდენობით (39 ათასი ტონა) ვერ გამოუშვეს, ქვეყნის სახალხო მეურნეობას დიდძალი თუჯის სხმული დააკლეს და შემცირების მიმართულებით გეგმის კორექტირება მოითხოვეს.

რა ქმედება ჩამორჩენის დასაძლევად?

სარდაფში მოთავსებული მიწის საშრობი კონვეიერები, რომლებიც წვიმის დროს იტბორებოდა ...

...თუჯის ჯართი სჭირდება, შავი ლითონების გადამამუშავებელი სამმართველო კი რუსთავის მეტალურგიული ქარხნიდან თუჯის ჯართს მხოლოდ 600 ტონის მოცულობით უგზავნიდა, და ეს მაშინ, როცა აქედან ჯართი ქალაქისა და რესპუბლიკის გარეთ იგზავნება. ამის თაობაზე საწარმოს ადმინისტრაციამ შესაბამისი ორგანოების წინაშე დააყენა საკითხი, რომელიც დადებითად გადაწყდა და შარშან დეკემბერში მეტალურგიული ქარხნიდან 1860 ტონა თუჯის ჯართი მიიღეს. ამან ბევრად გააუმჯობესა მუშაობა.

ჩამორჩენის მიუხედავად, ...

...1900 ტონა ...

ა. ჯანუა.

ერთი ოჯახის პარტიული ბიოგრაფია

ამაგდარი

„მამაჩემი რაიონის სადგურის მუშა იყო, ოთხი წლისა ვიქნებოდი როცა იგი მოულოდნელად გარდაიცვალა. დაგრჩით ბედისა და ნათესავ-მოყვრების ანაბარა ორი და, ორი ძმა და ცხოვრებაში გამოუცდელი დედა, რომელიც სამუშაო სკოლაში დამლაგებლად მუშაობდა, თან კოლმეურნეობაში ჩაის კრეფდა. ფიზიკურ შრომას ბავშვობიდანვე მივეჩვიეთ, რადგან, მამით დაობლებულებს, გზა ჩვენით უნდა გაგვეკაფა.. ნათქვამია, გაჭირვებულ კაცს ქვა ღმერთში მოეწევაო, და ჩვენც ასე დაგვემართა: რამდენიმე წლის შემდეგ დედაც გარდაიცვალა, მას უფროსი ძმა მიჰყვა, ასე რომ, წლების მანძილზე თალხი და გლოვა არ მოსცილებია ჩვენს ოჯახს". — ასე იწყებს თავის ბიოგრაფიას ქუთაისის ვ. ი. ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკის საქსოვი უბნის მოწინავე მქსოველი ვენერა ცინცაძე.

—ჯერ მამის, შემდეგ დედისა და უფროსი ძმის სიკვდილმა ოჯახი წელში გატეხა, მაგრამ ამასობაში შუათანა ძმამ შალვამ სუვოროვის სამხედრო სასწავლებელი დაამთავრა, სამხედრო სამსახური გაიარა, დებიც — ვენერა და ვალია არავის უდებდნენ, დილიდან საღამომდე საკოლმეურნეო ბაღ-ვენახებსა და ჩაის პლანტაციებში შრომობდნენ. ვენერამ ისე გამოიჩინა თავი, რომ რგოლის ხელმძღვანელად დააწინაურეს. ხოლო 1952 წელს სკკპ წევრობის კანდიდატად მიიღეს. ეს მისი პირველი ნაბიჯი, პირველი სიხარული იყო...

მერე თითქოს ყველაფერი თავისი წესით და რიგით წარიმართა და უჩვეულოც მის ცხოვრებაში თითქოს არაფერი უნდა მომხდარიყო. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს რადიკალურად შეიცვალა მისი ცხოვრების გზა.

თავდაპირველად მისმა არჩევანმა ყველა გააკვირვა. ეს კი არა თვითონაც ბოლომდე არ ჰქონდა გაცნობიერებული, თუ რამ გადააწყვეტინა ქუთაისს წასვლა — თანასოფლელი გოგონების რჩევამ თუ სურვილმა — უფრო მეტად გამოეცადა საკუთარი შესაძლებლობანი, მიეღწია ახალ-ახალი წარმატებებისათვის. ახალ ადგილას ეცადა საკუთარი თავი, ასე იყო თუ ისე, ვენერა ცინცაძე ქუთაისის ვ. ი. ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკაში მოვიდა, საქსოვ უბანში დაიწყო მუშაობა მქსოველად.

ადვილი არ იყო პირველი ნაბიჯები. გაუჭირდა შეგუება ქალაქთან, ფაბრიკასთან, ახალ კოლექტივთან, განსხვავებული ხასიათის სამუშაოსთან. პასუხისმგებლობა კი მეტად დიდი იყო — იგი იმ საწარმოში მუშაობდა, რომელიც მარტო ქუთაისის კი არა, მთელი საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიალიზაციის ისტორიას იწყებდა, ეს ფაბრიკა ხომ უშუალოდ ვ. ი. ლენინის ინიციატივით აშენდა.

— ის წლები უკვე მოგონებად იქცა. დაზგებთან მუშაობის დაუფლებას, ჩვეულებისამებრ, სამი თვე მაინც სჭირდებოდა, მაგრამ ისეთ მოწინავე მუშასთან, როგორიც ნათელა კუპრაშვილი იყო, მქსოველის პროფესიას ერთ კვირაში დავეუფლე, — იგონებს იგი.

მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო, თმას ჭაღარა შეერია, ჯილდოც — სიხარული.

ამჟამად ვენერა ცინცაძე მოწინავე კომუნისტია — არის ფაბრიკის პარტბიუროს წევრი, საქალაქო საბჭოს დეპუტატი, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის წევრი, საწარმოში არსებული დამრიგებელთა საბჭოს თავმჯდომარე. ვენერა საქსოვ უბანში მუშაობს, ემსახურება ორ დაზგას, ქსოვს შალის საბნებს და, როგორც ფაბრიკის სპეციალისტები აღნიშნავენ, მისი ნაწარმი ყოველთვის მაღალი ხარისხით გამოირჩევა.

საზრუნავიც მრავალი აქვს — ფაბრიკაში ზოგჯერ გვიანდება ნედლეულის შემოტანა, ხან მუშახელი აკლდებათ... მაგრამ ვენერა ყველაზე უფრო ფაბრიკაში ახლად მოსულების ბედით ინტერესდება. ზოგს დახმარება უნდა — უკვე ვერ აითვისა ხელობა, ზოგს გული არ უდევს ფაბრიკაში, უჭირს მიჩვევა. ვენერა ცინცაძე მაშინ საკუთარ ახალგაზრდობას იხსენებს... მერე კი, როგორც წესი, ყველაფერი თავის ადგილზე დგება. ალბათ, გაივლის დრო, და მარინე ახვლედიანი, ეთერ აკალიანი, მარინე მესხიძე ისეთივე სითბოთი მოიგონებენ ვენერას, როგორც იგი თავის პირველ დამრიგებელს — ნათელა კუპრაშვილს იხსენებს.

ვენერა ცინცაძე ქალ-ვაჟის დედაა, ორივენი მაუდის ფაბრიკაში მუშაობენ, ქალიშვილმა — ცისანამ დაუსწრებლად დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი. ახლა იგი სართავი უბნის საწარმოო სწავლების ინსტრუქტორია, არის პარტბიუროს მდივანი. დედა-შვილი ერთხმად აირჩიეს ჯერ რაიონული ორგანიზაციის შემდეგ კი ქუთაისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის კონფერენციის დელეგატებად. ისინიც დიდი შრომითი მიღწევებით მივიდნენ ამ ფორუმზე: ფაბრიკის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა როგორც პროდუქციის წარმოების, ისე მისი რეალიზაციის წლიური დავალებანი.

ცისანას ხელმძღვანელობით საჩეჩ-სართავ უბანში დაინერგა ბრიგადული მუშაობის სისტემა. ახლა უკვე 10 ასეთი ბრიგადაა შექმნილი.

ვენერას ვაჟი — აკაკიც კომუნისტია. იგი დაუსწრებლად სწავლობს ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, თანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მუშაობს მაუდის ფაბრიკაში, არჩეულია სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრად. ასე რომ, ორივე შვილი მშობლების კვალს გაჰყვა — ვენერას მეუღლე მიტომ შესახლდა ამავე ფაბრიკის ქარგალია.

წლები წლებს მიჰყვება. უკვე ასაკოვან, პატივცემულ და დაფასებულ ქალს — ვენერა ცინცაძეს მონდომება და ხალისი ახალგაზრდული აქვს, და, ისეთი, ფაბრიკაში მისვლის პირველ დღეებში რომ ჰქონდა... ამიტომ უყვართ ასე, ამიტომ აფასებენ ამაგდარს საწარმოში.

დ. გედენიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

სურათზე: დედა-შვილები, კომუნისტები ვენერა ცინცაძე (მარჯვნივ), ცისანა და აკაკი [illegible].

ო. ბერიშვილის ფოტო.

ფასი, რიგი,

აქტივზე დაყრდნობით

სტატისტიკა ადასტურებს: კიდევ შესამჩნევ ადგილს რესპუბლიკაში სჩადის მუქთახორა. დამალულებით ამდენივე სამართალდარღვევა ხდება ოჯახური, თუ მეზობლური უსიამოვნების შედეგად. შეარიგოს მოჩხუბარი მხარეები, შრომაში ჩააბას ადამიანები, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, — ამ საკითხებს ადგილებზე წყვეტენ შესაბამისი კომისიები.

მუქთახორობასთან ბრძოლისა და საყოფაცხოვრებო კონფლიქტების საფუძველზე სამართალდარღვევათა თავიდან აცილების რესპუბლიკური კომისიის მორიგ სხდომაზე, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე გ. მ. სირაძე, განიხილეს გარდაბნისა და მარნეულის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების მუშაობა. აღინიშნა, რომ გარდაბნის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესიებზე უკანასკნელ ორ წელიწადში არც ერთხელ არ განუხილავთ მუქთახორობასთან და საყოფაცხოვრებო ...

დამატებითს პარტიულ დავალებას — პარტიული შემართება!

საჭიროა მეტი ორგანიზებულობა, მონდომება

... დაკმაყოფილებას მხოლოდ ვარაუდი და იმედის გამოთქმა ვერაფერი მოკავშირეა. ამ საქმეში დაუშვებელია კამპანიურობა. მეტი ორგანიზებულობა და მონდომებაა საჭირო.

რ. რუსია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

გიორგიწმინდელი მეცხოველეები

საგარეჯოს რაიონის გიორგიწმინდის მეცხოველეობის კომპლექსის კოლექტივის წარმატება საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით და შეტანილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საკავშირო საპატიო დაფაზე.

თავდადებით იშრომეს მეცხოველეებმა ხუთწლედის მესამე წელს. სახელმწიფოს მიჰყიდეს 2580 ტონა ხორცი, რაც 380 ტონით აღემატება წლის დავალებას. კომპლექსის ფერმებზე ხუთწლედის განვლილ წელს 30 ათასზე მეტი გოჭი მიიღეს, გეგმით გათვალისწინებული 22.400-ის ნაცვლად.

სამშობლოს მაღალი ჯილდოთი შთაგონებული გიორგიწმინდელი მეცხოველეები პირობას დებენ, რომ ხუთწლედის ახალ წელს იბრძოლებენ უკეთესი შედეგებისათვის, თავიანთ წვლილს შეიტანენ ქვეყნის სასურსათო პროგრამის გადაწყვეტაში.

სურათებზე: მოწინავე ოპერატორი ქეთინო ჯამალაშვილი; გიორგიწმინდის მეცხოველეობის კომპლექსის სასუქებელი განყოფილების უბნის უფროსი გელა არჩუაძე (ცენტრში), ბრიგადირ-ზოოტექნიკოსი ნუგზარ მელაშვილი და ოპერატორი მარინე პაპიაშვილი ამოწმებენ ცხოველებისათვის საკვების გაცემის გრაფიკს.

ი. დავითაშვილის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სიხარულიც და მოვალეობაც

თუ დავიცავთ — დაგვიცავს!

მთის სოფლის პრობლემები

„პარტიული სიტყვა" № 4

მონოგრაფია საქართველოს მთიანეთის შესახებ

ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ, ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ, ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲓᲐᲮᲚᲘ ᲣᲓᲒᲐᲗ

Ნ. ᲜᲝᲠᲐᲫᲔ

10 ᲛᲐᲠᲢᲘ

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ

ᲜᲘᲜᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

ᲐᲚᲙᲕᲔᲗᲝᲗ ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ

ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

ᲡᲐᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲝ ᲜᲝᲢᲐ

ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲚᲘᲑᲐᲜᲨᲘ

ᲙᲐᲠᲘᲙᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ

ᲐᲒᲠᲔᲡᲝᲠᲗᲐ ᲛᲢᲐᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲘ.

Ვ. ᲚᲝᲛᲘᲫᲔᲡ ᲜᲐᲮᲐᲢᲘ.

ᲐᲨᲨ

ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲔᲜ ᲣᲙᲐᲠᲜᲐᲮᲝᲜ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ

ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲫᲔᲑᲐ

ᲞᲔᲜᲢᲐᲒᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲢᲐᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ „ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲐ"

Კ. ᲨᲘᲚᲘᲜᲒᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲛᲝᲮᲚᲔᲝ

ᲘᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲚᲘ

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ



ᲛᲐᲨᲕᲠᲐᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲝᲚᲘ

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲮᲐᲖᲐᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 80 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

Ვ. ᲠᲔᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘ,

Ა. ᲮᲐᲠᲐᲑᲐᲫᲨᲕᲘᲚᲘ,

რუბრიკის დებიუტი: მე თბილისელი ვარ...

დღეს თბილისს ალა მამმად ხანივით ვერავინ აიღებს. თბილისს ძალება თუ გინდა, შიგ დავით აღმაშენებელივით უნდა შემოხვიდე. ჭერ უწმინდურობისაგან განწმინდო და მერე გაშალო შენი დროშა ნარიყალას თავზე. სხვანაირად თბილისელი ვერ გახდები.

ნოდარ დუმბაძე.

თბილისის XXXIX საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე გამოსვლიდან.

ძველი ნივთები

(ფიქრები გამოფენაზე)

თბილისი ეს ქალაქი სავსე იყო ახირებული ხალხით. მათი ახირებულობა მარტოოდენ სამოსი იყო, რომელშიც თავიანთ ცხოვრებისეულ ფილოსოფიას მოსავდნენ. ერთი მათგანი — ძათუების დამჭერი, არღნებისა და ძველი ფეხსაცმლის კოლექციონერი მეუბნებოდა: „როცა ბაბაჩემის ჩუსტებში წავუყოფ ფეხს, ცოცხალი და მხიარული წარმომიდგება თვალწინ".

ამ კაცს არკადი რევაზოვი ერქვა, არც ისე დიდი ხნის წინათ გარდაიცვალა. ერთ გამოფენაზე ექსპონირებული იყო ცისარტყელას ფერებით აჭრელებული არღანი. იქვე თვალი მოვკარი არკადი რევაზოვს, გამიღიმა: „ცოცხალი და ხხიარული ვარო!". უცხოური მარკის — „შელოტონის" ძველებური არღანი მოხატული იყო მოციქაჯავე ყარაჩოხელებით, თითბრის ფირფიტაზე კი ამოეტვიფრათ: „გაუმარჯოს პურმარილს!".

ასე იყოს, გაუმარჯოს...

გაუმარჯოთ ჩვენს ხსოვნაში იმ ადამიანებს, რომლებიც თავიანთ სულს ჩაუდგამდნენ ხოლმე ნივთებს!

ჩემს გვერდით ვიღაცამ ჩაილაპარაკა:

— ნეტა რა ღირს ასეთი არღანი?

წავუყრუე. ხელი შემიშალა ჩემს ფიქრებში.

ნივთები თავიანთ პატრონებზე დიდხანს ცოცხლობენ, ვფიქრობდი მე. ალბათ, აქ არც ღირდა ამ გაცვეთილი ჭეშმარიტების გამეორება, თავის უმეტეს ნაწილს, აისბერგივით, წყალქვეშ რომ არ მალავდეს.

იმავე გამოფენაზე ვნახე უცნაური ნივთი — სქელი მინისაგან დამზადებული მოგრძო ბურთულა, რომელიც მოთავსებული იყო მინისავე ქურქელში, სადაც ცოტა წყალს ასხამდნენ. თითის დასასველებელი — წავიკითხე ფირფიტაზე და მაშინვე თვალწინ წარმომიდგა: აი, მწვანე ფაიფურის აბაჟურიანი ლამფა თავის სხივებს აფენს საწერ მაგიდაზე, იქვე წიგნი ძევს, ვხედავ დამძარღვულ ხელს და აი, ამ ნივთს — თითის დასასველებელს... სანამ წიგნს გადაფურცლავდა, ხელი ოდნავ ეხებოდა ამ ბურთულას. მიჰქრიან წამები, ბრუნავს ბურთულა, შრიალებს ფურცლები, ბინდში გაიელვებს პენსნე და მის მინებზე არეკლილი ათინათი დახტის ძველი წიგნის ფურცლებზე. ამ ბრჭყვიალა პენსნეს მინებიდან მკაცრად და ნაღვლიანად შემომცქერის პაპაჩემის ფერგამკრთალი თვალები.

— ნეტა რა ღირს ეს ნივთი? — რეფრენივით გაისმა ჩემს გვერდით იგივე ფიქრიანი, თავდაჯერებული ხმა.

ჩემთვის ეს ნივთები ფასდაუდებელი იყო, ისევ წავუყრუე. ხელი შემიშალა ჩემს ფიქრებში.

მე ვფიქრობდი იმაზე, რომ ამ თითის დასასველებელმა და ყველა ამ ნივთმა, რომლებიც აქ, რუსთაველის პროსპექტზე მხატვრის სახლში იყო გამოფენილი, წინაპრების დრო, მათი სახეები დამიბრუნა. მაგრამ ამ სასწაულსაც არ დასჯერდა, კიდევ უფრო მეტი შეძლო — მათ დამიბრუნეს ჩემი თანამედროვენი, ადამიანები, რომლებსაც ბავშვობიდან ვიცნობდი და მიყვარდა. ბავშვობისას, სიყრმისას, სიჭაბუკისას ისინი ჩემს გარშემო ტრიალებდნენ, მერე კი სადღაც გაქრნენ თბილისიდან, გაქრნენ როგორც ბელურები და მერცხლები, რომ არაფერი ვთქვა ამ ქალაქის სხვა იშვიათ ჩიტუნებზე. და აი, ძახეთ: აქ ყოფილან, გადარჩენილან, ცოცხლები არიან, და ამ გამოფენამ ისინი თითქოს დღეობაზე მოიწვია. მოიწვია თითქოს ოჯახურ დღეობაზე, რომელზეც ხალხი ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებაზე ბაასობს, ეცრად დადუმდებიან და სიყვარულით შესცქერიან ერთმანეთს თვალებში მოყვრობის ბედნიერების იდუმალებით გამსჭვალულნი.

[illegible]

ადგილები, სადაც მუდამ შეგეძლო შეხვედროდი ნაცნობს. ახლა ასეთი ადგილები თითქმის აღარ არის, ვფიქრობდი მე. იქნებ ჩვენ, თბილისელები, ცოტანიღა დავრჩით თბილისში, ან იქნებ თვითონ თბილისი გაიზარდა ისე, რომ ... შიგ ჩავიკარგეთ.

არა, თურმე არ ჩავკარგულვართ. თურმე შემოვრჩენილვართ და შემოგვრჩენია წარსული, რომლის წინაშეც მარტოობას ვერ იგრძნობ. შეუძლებელია არ იბაასო, როგორც ოდესღაც, ოჯახურ დღეობებზე, როცა ხალხი უეცრად დადუმდება მოყვრობის ბედნიერების იდუმალებით გამსჭვალული.

მაგრამ ეს ერთბაშად, ახლა, არ მოხდება — ძველი ნივთები ილაპარაკებენ ჩვენს მოგონებებს და გვიბრძანებენ: ისაუბრეთ!

ჰოდა, ვსაუბრობთ.

— არა, ერთი შეხედეთ, „ზინგერი"! ბებიაჩემი ასეთი მანქანით კერავდა. რომ იცოდეთ, რამდენი ვიხმე შემოსაა ამ მანქანით!

— თმის დასახვევი მაშა! ბელინსკელი პარიკმახერი ანტონა ექვსთვიანს აკეთებდა... რა ოსტატი იყო!

— მამაჩემს ზუსტად ასეთი ფირფიტა ჰქონდა—სპეციალური თმის გასაყოფი. გრუზა, შავი თმა ჰქონდა, ეს ფირფიტა კი სიმივით სწორ ზოლს ავლებდა. ლამაზი კაცი იყო, ტანადი, ჩემს შვილებს იგი ასეთი არ ახსოვთ...

ვსაუბრობთ ჩვენ, თბილისელები მამებზე და პაპებზე. იმაზე, თუ სად იყო სასტუმრო „ლონდონი" და ბალი „სან-სუსი"... ვსაუბრობთ, ვიღაც კი დადის ჩვენს გარშემო და ძველი ნივთების ფასს კითხულობს.ჩვენ ყურს არ ვუგდებთ.

კლამას: „აი, რა პატიოსანი ხალხი ვართო!", კარეტების ოსტატი დ. ლომაძე „კავკასიაში საუკეთესო" ორცხენიან სანიტარულ ეტლებს აკეთებს. ქალთა ემანსიპაციის დიდი ქომაგი კ. პ. განკევიჩი არწრუნის თეატრში ფრანგულად კითხულობს საჯარო ლექციას „საერთოდ ქალის დანიშნულების შესახებ...". „კავკ ბოროდოს" პატრონები რადდებ იისულიანი და ფილიპე მეგრელი „ფრიად ზომიერ ფასებს" გვპირდებიან საერთო სიძვერის მიუხედავად.

... ამ სახელების, სახეების, ბედიღბლის, ხასიათების სიჭრელის მიღმა სადღაც ილანდება ნიკალა ფიროსმანაშვილი... სადღაც მათ შორის არიან ადამიანები, რომელთა შთამომავალი მე გახლავართ. ცხოვრობდნენ, უყვარდათ, იტანჯებოდნენ, იმედოვნებდნენ, შრომობდნენ, ვაჭრობდნენ, წერდნენ, თხზავდნენ, ბოულობდნენ და კარგავდნენ — და სრულიადაც არ იცოდნენ, რომ ამით ქმნიდნენ უნიკალურ ქალაქურ კულტურას, ურომლისოდაც თბილისი თბილისი ვერ იქნებოდა. აყალიბებდნენ იმ ტიპის მოქალაქეს, რომელიც ერთადერთი განასახიერებს ამ ქალაქს.

ეს კოლორიტული ადამიანები ჩემამდე იყვნენ, ახლაც არიან, მაგრამ ცოტანი. ვინ იქნება ჩემს შემდეგ? ეს ამაო კითხვა არ არის.

დაჟინებულმა რეფრენმა ძველი ნივთების ფასებზე ფიქრებიდან გამომაფხიზლა, არა, ამ კაცს თა-

ჩვენ ჩვენი საფიქრალი და სასაუბრო გვაქვს...

... ხელსაქმის მაგიდა, საათი „ბრეგეტი", ფაიფურისა და ბრინჯაოს ხავითის ლამპები, მარმარილოსა და სპილენძის სამელნეები, ქაღალდის საჭრელი ძვლის დანები, სადაფით ინკრუსტირებული ფანჯარი, ლორნეტები, ბანის საფარცხლები, ჩერქეზული და ქართული ჩოხები, ფრაკები, ცილინდრები, კავკასიური ფაფახები და უძიროები, მტიბლეტები, გამოდიდებული მინები, „ჭადოსნური ფარნები" — ძველი ნივთების გაუთავებელი პარადი, რომელსაც თან სდევს პაპაჩემის დროინდელი გრამაფონის ნაღვლიანი მუსიკა.

ჭოედინებიან თბილისელები, სახელმოხვეჭილნი და უცხონი.

„ივგენი ზემელი. თბილისის აფთიაქი" — ამობურცულა ასოები მოყავისფრო მინის შუშაზე.

„ღღეს გრიშაშვილის საღამოა!" — მთელ სიგრძეზე გასდევს აშშ. ლაგად ძველი, სიფრიფანა გაზეთის ფურცელს.

„ბატონი რატილი ლიონის როლში" — საოპერო სპექტაკლის აფიშა.

„რაფიელ ერისთავმა გადმოთარგმნა..." — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განცხადება.

„მ. ე. ლაღიძის ამხანაგობა გთავაზობთ..." — რეკლამა მოგიწოდებთ: სვით შეუდარებელი თბილისური ხილის წყლები...

ამას ეწოდება „ძველი თბილისის რეკლამა", არსებითად კი ეს ქალაქისა და მისი ადამიანების წარსული ცხოვრების ამბავია. ზოგის სახელი ისტორიის კუთვნილებაა, ზოგი, თითქოს, არავისაც არ ეკუთვნის. და მაინც სუნთქავს გვაკ... როცა კითხულობ ძველე-

[illegible]

ვიდან ვერ მოვიშორებ! რა ჭიუტია, რა ულეთოდ ჩამაცივდა ეს ჩვენი რელიკვიების შემსყიდველი. ვაკვირდები. შუახნისაა, წარმოსადეგი, კარგად ჩაცმული, მაინცდამაინც მეტს ვერაფერს ვეტყვით. ჩვეულებრივი მოქალაქეა.

კვლავ დავფიქრდი, და აი, რაზე-

[illegible]

მას მრავალნი თაობანი, წოდებანი, ხალხები. ამ თვალსაზრისით ქალაქი მე წარმომიდგება, როგორც აბრეშუმის ჩაგრეხილ მდინარეში გადაგდებული ბადე: ყოველი უჯრედი ოქროს თევზისთვის არის განკუთვნილი, ლიფსიტები ნაკადს მიჰქონდა, ყოველივე მნიშვნელოვანი, დიდი, ნათელი სამუდამოდ ილექებოდა აქ.

პროვინცია ოდითგანვე ახალი სისხლით ავსებს დედაქალაქების არტერიებს. იქიდან იყრიან თავს სატახტო ქალაქში ყველაზე ენერგიული, ყველაზე საზრიანი, ყველაზე ჭკვიანი და ყველაზე ნიჭიერი ადამიანები, რომლებიც ატლანტებივით შეუდგებიან ხოლმე მხრებით მის თაღს. გასკონიამ გაგზავნა პარიზში დარტანიანი, ურომლისოდაც პარიზი პარიზი ვერ გახდებოდა. დედაქალაქებში დარტანიანების თავმოყრა საკაცობრიო და ზოგადისტორიული პროცესია. მაგრამ გეოგრაფიული პროვინციის გარდა არსებობს სულიერი, უფრო ზუსტად, სულგამოცლილი პროვინცია. სწორედ მისი შემოტევა უქადის საფრთ-

ბის თბილისის ტრადიციულ კულტურულ ღირებულებებს, ისევე როგორც ოდესღაც ქუთაისი დაკარგა იქიდან შემოქმედი და მეცნიერი ინტელიგენციის წამოსვლამ.

თეატრების ცარიელი დარბაზები, თავმომწონე ... [illegible]

პიურები. გაუფასურებული ყოფილი ფასიანი ქაღალდები. მინდა ვუჩვენო, განსაკუთრებით — თბილისის სავაჭრო ბანკის აქციები და მათი კუპონები, რომლებზეც აღბეჭდილია: № 0017 აქციის კუპონები დივიდენდების მისაღებად 1922 წელს... 23 წელს... 25 წელს...".

[illegible]

მაღლევს, რომ თავს ვერ ვკავებ ამაზე ფიქრისაგან. ეს იყო დრო, როცა კარს რკინის ჭაჭანს არ ვაკრავდით. ეს იყო დრო, როცა ჩვენ ძალიან ღარიბები და ამიტომ ბევრად მდიდრები ვიყავით. როცა ვინმე მოგვენატრებოდა, შინ ვეწვეოდით, კარს შეაღებდით, შევდიოდით...თუ არ დაგვხვდებოდა, რუსთაველის პროსპექტზე გამოვიდოდით, ან სხვაგან, სადაც ყოველთვის იპოვიდი კაცს, რომელიც გპირდებოდა. თბილისში ყოველთვის იყო ისეთი

ყოველდღიურ ამბებს.

მოკრძალებული ხელთათმანების მკერავი გვპირდება, რომ ლაზათიანად ასრულებს შეკვეთებს. უცნობი ყმაწვილი ქალი, რომელმაც რამდენიმე ენა იცის, მზად არის აღმზრდელად იმსახუროს „კარგ ოჯახში". ჩაის მაღაზიის მქირეწლოვანი დახლიდარი სედრაქ პეტრუსოვი გოლოვინის პროსპექტზე ფულით გატენილ ქისას პოულობს, ერთ კაპიკსაც კი არ ამოიღებს და პატრონს აბარებს, ის კი გაზეთში ათავსებს რე-

თბილისი იზრდება, მშვენდება, და მდიდრდება — უპირატესად თქვენი გარჯის წყალობით, რადგან მარტო ჩვენ, ძველი თბილისელები თავს ვერ გავართმევთ ამ საქმეს. თქვენ ქალაქს სწირავთ ყოველივე საუკეთესოს, რაც გაგაჩნიათ, და ამიტომ სამართლიანად ხდებით მისი მოქალაქეები, ისიც მინდა ვთქვა, რომ ფენომენი, რომელსაც თბილისური ხასიათი ეწოდა, რაღაც ერთხელ და სამუდამოდ მოცემული რამ კი არ არის, არამედ საუკუნეთა მანძილზე აყალიბებდნენ

ალი ბინაც და ძველებური სახლიც, ჩაწერის შტამპიც და ადამიანის სულიც. თორემ რატომ არის, რომ აქაც კი, ამ გამოფენაზე განუწყვეტლივ გაისმის რეფრენი:

— რა ღირს?

მინდა ამ მუშტარს ხელი ჩავავლო, მივიყვანო განცხადებასთან და წავაკითხო გასული საუკუნის ფასები, დროით გაუქმებული ფასები. მივიყვანო სტენდთან, სადაც მინის ქვეშ აწყვია წარსულთა დროთა ასიგნაციები და კუ-

... ბრძოლაა საჭირო... აი, რა მითხრა ძველი ნივთების ფასებმა. ძველი ნივთები — ეს ახალი ნივთებია, რა თქმა უნდა, იმ თვალსაზრისით, რომ გვეხმარებიან ახლებურად შევხედოთ თანამედროვე სამყაროს და ახლებურად დავინახოთ იგი. ამ მნიშვნელობით ისინი უფრო მეტ რამეს გვეუბნებიან, ვიდრე ვინმეს მანეთობით გამოხატული მათი ფასი ეუბნება.

თეიმურაზ მამალაძე.

ნიკოლოზ ბარათაშვილის სამკვიდრო სახლი

ყოველ ახალ ცნობას, თუ არსებულის ახალ გააზრებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხოლმე შემოქმედის ბიოგრაფიის შევსებისათვის.

საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივის ფონდის თბილისის სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის, განჩინების ექსპედიციის საქმეებში დაცულია ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელით შედგენილი საბუთი — მამამისის, მელიტონ ნიკოლოზის ძე ბარათაშვილის „თხოვნა" რუსეთის მეფის ნიკოლოზ პირველის სახელზე, რომ ნება დართონ გაყიდოს თბილისის გუბერნიის სოფელ შინდისში არსებული თავისი მამული, სადაც სახლობს ოთხი ყმა გლეხი ოჯახებითურთ.

მელიტონ ბარათაშვილის „თხოვნიდან" ირკვევა საინტერესო საკითხები. ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფები ჩვეულებრივ მიუთითებენ, თითქოს პოეტის წინაპრებს სამკვიდრებელი ჰქონდათ მარაბდაში, ხოლო მის მშობლებს თბილისის გარდა არსად ჰქონიათ სახლი და ადგილ-მამული. როგორც აქ მოყვანილი საბუთებიდან ცხადად ჩანს, ეს არ შეეფერება სინამდვილეს.

ჭერ კიდევ ნ. ბარათაშვილის პაპას ნინიას (ნიკოლოზს) თბილისიდან არც ისე შორს, სულ რაღაც ხუთიოდე ვერსის მანძილზე, ჰქონია საკუთარი ორსართულიანი სახლი და ორასი დღიური მიწა.

მელიტონ ბარათაშვილის „თხოვნიდან" ჩანს, რომ მას 1844 წლის ივლისში თავისი მამული — სახნავი, სამოვარი და სათიბი მიუყიდია პორუჩიკ აბელ გურგენბეგოვისათვის, სახლის გაყიდვაზე კი „თხოვნაში" არაფერია ნათქვამი. მამულის გაყიდვა გამოწვეული უნდა ყოფილიყო ბარათაშვილთა მძიმე ოჯახური მდგომარეობითა და ვალებით. ერთი ასეთი მოვალე სტეფანე ისარლოვი ყოფილა.

სახლი ბილთურთ ნიკოლოზისა და მელიტონის გარდაცვალების შემდეგ უპატრონოდ დარჩენილა. ეს სახლი დღესაც არსებობს. იგი ქვით ნაშენია, მის წინ წყაროა, გვერდით — კარის ეკლესია. საბედნიეროდ ხალხში ჭერ კიდევ არ წაშლილა კვალი ბარათაშვილთა ხსოვნისა. ყველამ დაგვიდასტურა გადმოცემა, რომ ეს სახლი ნიკოლოზ ბარათაშვილის მამის — მელიტონისეულია. სადაც შემდეგ სკოლა გაუხსნიათ.

ნიკოლოზ ბიძინას ძე მღებრიშვილი: „სახლი, საცა ახლა სკოლაა, იყო მელიტონ ბარათაშვილის, რომელსაც გაღარიბების გამო მამული მიუყიდია იქაური ვაჭარ კაცისთვის, რომელიც მეურნეობდა ხალხს და უმიწაწყლო გლეხებს აძლევდა მიწას დასამუშავებლად, იღებდა ღალას".

ფუფუნა ბეჟანის ასული ჭინჭარაძე-ქავთარაძისა: „ჩვენი ოჯახის გადმოცემით ვიცი, რომ სახლი, სადაც ახლა სკოლაა მოთავსებული, კუთვნილი ყოფილა ნიკოლოზ ბარათაშვილის მამის მელიტონისა. შემდეგ აქ დასახლებულან სხვები".

აქვე მოგვყავს მელიტონ ბარათაშვილის „თხოვნა":

4 ივლისი, 1844 წ.

„ყოვლად ბრწყინვალე, ყოვლისპყრობელო დიდო მეფევ, ნიკოლოზ პავლეს ძევ! სრულიად რუსეთის თვითმპყრობელო, ყოვლადმოწყალე ხელმწიფევ!

გთხოვენ: მაიორი თავადი მელიტონ ნიკოლოზის ძე ბარათაშვილი და ნიჟეგოროდის პოლკის პორუჩიკი აბელ გრიგოლის ძე გურგენბეგოვი, ხოლო რა არის ჩვენი სათხოვარი, ეს ქვემოთ არის აღნიშნული.

ჩვენგან თავად ბარათოვს, კოლეგიის მრჩევლის სტეფანე ისარლოვისა (უკვე გარდაცვლილისა) მმართებს 680 მანეთი ვერცხლის ფული, სესხი ხელწერილით და სავანგებო პირობით, რაც დამოწმებულია საქართველოს — იმერეთის სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის პალატის მიერ 1842 წლის 18 ნოემბერს.

აქაურმა საგუბერნიო მმართველობამ ჩემსა და ისარლოვს შორის ანგარიშის გასწორებამდე ყადაღა დაადო თბილისის მაზრის სოფელ შინდისში მცხოვრებ ჩემი კუთვნილი გლეხების ოთხ კომლს, რომლებიც მიღებული მაქვს მემკვიდრეობით მამაჩემისაგან.

ამჟამად გლეხების ეს ოთხი კომლი, სახელდობრ: ყაზარა ნონიაშვილი, 32 წლისა, არუთინა ნონიაშვილი, 32 წლისა, არუთინა ნონიაშვილი, 38 წლისა, ხოსრო ავეტიკაშვილი, 37 წლისა და იოსებ ავეტიკაშვილი 30 წლისა, მთელი მათი ოჯახებით, რომლებიც მამრობითი სქესის ცხრა სულისაგან შედგება, მამულით — სახნავი, უხნავი, სამოვარი და სათიბი ადგილები ორასი დღიური, მივყიდე მე, თავადმა ბარათოვმა, გურგენბეგოვს ორი ათას მანეთად ვერცხლის ფულით, საიდანაც ათას სამას ოცი მანეთი უკვე მივიღე მე, ბარათოვმა, ხოლო დანარჩენი ექვსას ოთხმოცი მანეთი ვერცხლის ფულით, აგრეთვე ერთ მანეთს და ორმოცდაათ კაპიკს, ჩვენთაგანი გურგენბეგოვი ამასთან ერთად იდებს, პირველ ისარლოვის დასაკმაყოფილებლად, ხოლო დანარჩენს აღნიშნული ყადაღის მოსახსნელად.

ამის გამო უმორჩილესად გთხოვთ რათა გაეცეს ბრძანება ხსენებულ გლეხთა ოჯახების ყადაღისაგან განსათავისუფლებლად. ერთდროულად შედგენილ იქნეს მათ შესახებ მამულთან ერთად, ჩვენთაგან პორუჩიკ გურგენბეგოვის სახელზე ნასყიდობის სიმტკიცის სიგელი ორი ათას მანეთზე ვერცხლის ფულით და ამ სიგელით შემდეგ გადაეცეს აწ გარდაცვლილ სტეფანე ისარლოვის მემკვიდრეებს. ამასთან ერთად წარმოდგენილი 680 მანეთი ვერცხლის ფულით.

4 ივლისს 1844 წელს, თბილისში უნდა წარედგინოს საქართველოს — იმერეთის სისხლის სამართლის პალატას.

ეს შუამდგომლობა შეადგინა და გადაწერა მთხოვნელის თავად ბარათოვის შვილმა, გუბერნიის მრჩეველმა ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათოვმა.

ხელი მოაწერა მაიორმა თავადმა მელიტონ ბარათოვმა.

ნასყიდობის სიმტკიცის სიგელი დადებულია 14 ივლისს და გადაცემულია № 251. ფ. 173. (სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის პალატა № 161, ფ. 1,2).

სოფელ შინდისში არსებული სახლი ნიკოლოზ ბარათაშვილის სამემკვიდრეოა, ყოველივე კი, რაც ჩვენი სასიქადულო პოეტის სახელს უკავშირდება, ფრიად ძვირფასია ქართველი ხალხისათვის. ამიტომაც საჭირო და აუცილებელია ბარათაშვილთა ამ სახლს გაუკეთდეს მემორიალური წარწერა, ხოლო როცა სკოლა ახალ შენობაში გადავა მოეწყოს პოეტის სახლ-მუზეუმი. მით უმეტეს, რომ მემორიალური ნივთების ნაწილიც მიკვლეულია. ეს ქართული კულტურის კიდევ ერთი შენაძენი იქნება, კიდევ ერთი პოეზიის სახლი. უპირველეს ყოვლისა ამ ამბით გარდაბნის რაიონის ხელმძღვანელობა და კულტურის განყოფილება უნდა დაინტერესდნენ.

ვახტანგ სიდამონიძე.

პ. ყ. ელბაქიძე

გარდაიცვალა 1920 წლიდან სკკპ წევრი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი პეტრე ყარამანის ძე ელბაქიძე.

პ. ყ. ელბაქიძე დაიბადა 1894 წელს რაჭის მაზრის სოფელ წესში. 13 წლისა იყო, როცა მისმა ძმამ — ცნობილმა რევოლუციონერმა არკადი ელბაქიძემ თბილისში ჩამოიყვანა და მუშაობა დააწყებინა სტამბაში შეგირდად. იგი მაშინვე ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში.

პოლიციამ იგი ... და ... დააპატიმრა. 1915 წელს ჭარში გაიწვიეს, სადაც რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა, რის გამოც ჯაზახავნეს მოწინავე პოზიციაზე, სადაც მძიმედ დაიჭრა. განკურნების შემდეგ ისევ ფრონტზეა, სწორედ აქ მოუსწრო მას თებერვლის რევოლუციამ.

1918 წელს თბილისში გადმოვიდა. მალე იგი მონაწილეობს მატერის მოწყობაში, რომლისაც ... დღემდე ... [illegible]

მომდევნო წლებში პ. ყ. ელბაქიძე სხვადასხვა სამეურნეო პასუხსაგებ სამუშაოზეა. დაჭილდოებული იყო საპატიო ნიშნის ორდენით და მედლებით.

ძველი რევოლუციონერის, მტკიცე ბოლშევიკის პეტრე ელბაქიძის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომი, პარტიის ვეტერანთა რაიონული საბჭო.

მოსკოვი

კვირა, 11 მარტი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — „გააკეთე ჩვენთან ერთად, გააკეთე ჩვენსავით, გააკეთე ჩვენზე უკეთ". 10.35 — მხატვრული ფილმი „ჯარისკაცი ივანე ბროვკინი". 15.50 — დოკუმენტური ფილმი. 16.00 — „დედამიწაზე, ცაში და ზღვაში". 16.30 — მეცნიერება — მოსკოვის ოლქის აგროსამრეწველო კომპლექს. 17.00 — მოსწავლეთა და შეგირდთა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორთან ო. მ. კოლოკოვთან. 17.45 — ურავს ბაია — ნინჩის ტრიო. 18.05 — საბჭოთა ჯარის სკოლა. 18.35 — მ. შოლოხოვის ნოველა „ცხოვრება ... ...". 19.15 — მეცნიერება და ცხოვრება. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — „რა ... ...". 20.30 — ფილმი-კონცერტი. 20.55 — მხატვრული ტელეფილმი „...". პირველი სერია. 22.00 — „ვრემია". 22.35 — ფილმ-კონცერტი. 23.15 — დღეს მსოფლიოში. 23.30 — კონცერტი. ... ნაწარმოებები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — ტელეფილმი. „მეგონავ ... ... სიმღერა". 9.35 და 10.35 — გეოგრაფია. მე-8 კლასი. 10.05 და 13.40 — ინგლისური ენა. 11.05 — ... ... სასწავლებლებისათვის. ასტრონომია. 11.35 და 12.40 — ისტორია. მე-7 კლასი. 12.05 — ... სკოლა. 13.10 — ფიზიკა. მე-9 კლასი. 14.10 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 14.25 — კლუბი. 15.10 — ... 19.15 — ... 20.00 — ... 21.45 — ... 22.00 — ... 22.35 — მხატვრული ფილმი „...".

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — „მოამბე". 10.15 — სატელევიზიო ფილმი „... ...". 11.40 — ქართული სატელევიზიო ... ... მხატვრული ფილმი „...". 12.10 — მხატვრული ფილმი „... ...". 13.25 — ... 13.55—ახალი ამბები. 14.10 — მოსწავლეთათვის — სამარცხვის ... 14.40 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „...". 16.00 — ახალი ამბები. 16.10 — საზიანო ... 16.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „...". 17.00 — „...". 17.30 — ... 17.50 — მხატვრული ... 18.25 — ... 18.55 — ... 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.35 — ... 21.35 — ... 22.00 — „ვრემია". 22.35 — ... 23.40 — ახალი ამბები.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

შემოდგომის დღესასწაული

ონი. (საქ. კორ.). „შემოდგომის დღესასწაული" — ასე ეწოდება მრავალფიგურიან ბარელიეფს, რომელიც აღიმართა რაიონული ცენტრის მოედანზე. ხელოვნების ამ ნაწარმოებში, რომლის ავტორია გ. ფრიძე, ასახულია შემოდგომის დოვლათითა და ბარაქით გამოწვეული სიხარული, მშრომელი კაცის სავსე ბედნიერი ცხოვრება. ბარელიეფმა, რომელიც კარგად შეერწყა არქიტექტურულ ანსამბლს, სილამაზე შემატა მთელ ქალაქს.

მომადლებული ნიჭი

დედაქალაქის საკონცერტო დარბაზებში

ჟღივანდელი საკონცერტო სეზონის ნათელ მოვლენად იქცა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის, მოსკოვის ფილარმონიის სოლისტის, მევიოლინეთა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის ნანა იაშვილის კონცერტები.

ნანა სამართლიანად ითვლება თანამედროვე საბჭოთა სავიოლინო სკოლის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლად. მისი „საგასტროლო რუკა" ფრიად ვრცელია და მოიცავს საბჭოთა კავშირის ქალაქებს, ევროპისა და აზიის მრავალ ქვეყანას.

კარგად გვახსოვს ნანას პირველი ნაბიჯები საკონცერტო ესტრადაზე მამამისის — პროფესორ ლუარსაბ იაშვილის ხელმძღვანელობით და არტისტული სრულყოფის მომდევნო წლები მოსკოვის კონსერვატორიაში სსრ კავშირის სახალხო არტისტ ლ. კოგანთან.

ნ. იაშვილი დაჯილდოებულია ჭეშმარიტი ვირტუოზი ხელოვანისათვის აუცილებელი თვისებებით. ხალასი არტისტული ტემპერამენტი და ემოციურობა მის დაკვრაში შეთავსებულია დახვეწილ გემოვნებასთან და მაღალ მხატვრულ კულტურასთან. აღფრთოვანებას იწვევს მისი ბრწყინვალე ტექნიკა, რომელიც საშუალებას აძლევს ძალდაუტანებლად დაძლიოს ნებისმიერი სიძნელე.

ეს თვისებები მუსიკოსმა თანაბრად გამოავლინა ახლახან გამართულ როგორც კამერულ, ისე საკონცერტო პროგრამებში. (პირველში მას თანხლებას უწევდა პიანისტი ვ. იეროვინი, მეორეში კი — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი რ. ტაკიძის დირიჟორობით.)

ბეთჰოვენის სავიოლინო სონატების (№ 3 და № 8) შესრულება გამოირჩეოდა აკადემიურობით (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით) და მაღალი პროფესიული კულტურით. ტექნიკური სრულყოფილებითა და ელვარე ტემპერამენტით მოხიბლა მსმენელები ვენიავსკის „სკერცო-ტარანტელას" შესრულებამ. ასევე მაღალ დონეზე შესრულდა ნ. იაშვილმა შუბერტის „დუეტი", ბრამსის „სკერცო" და მოსტკოვიჩის 4 პრელუდია.

კიდევ უფრო ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა სიმფონიურ კონცერტზე შესრულებულმა ე. შოსონის „პოემამ" და მ. ბრუხის სავიოლინო კონცერტმა. პირველ მათგანზე მოსწრებულად არის ნათქვამი, ეს „არაჩვეულებრივისხოვანი კომპოზიტორის პირველხარისხოვანი ნაწარმოებიაო". ნანამ მთელი სისრულით განგვაცდევინა ამ საოცრად პოეტური და გულითადი მუსიკის მთამბეჭდავი ძალა. მოვიხიბლეთ მისი ვიოლინოს უშრეტი კანტილენით, თბილი, ექსპრესიული ბგერით. რომანტიკული მგზნებარება და დინამიზმი გამოირჩევდა ბრუხის სავიოლინო კონცერტის იაშვილისეულ ინტერპრეტაციას. აქ კონცენტრირებული სახით გამოვლინდა ნ. იაშვილის ხელოვნების მომხიბვლელი თვისებები, რომელთა შესახებ ზემოთ ითქვა.

და ბოლოს, რამდენიმე სიტყვა ნ. იაშვილის პარტნიორების შესახებ. ახალგაზრდა, უდავოდ ნიჭიერი მოსკოველი პიანისტის ვლადიმერ იეროვინის (პროფესორ ი. ზაკის მოწაფე) ხელოვნებას პირველად გავეცანით, რამაც ფრიად სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. მან შესანიშნავი პიანისტ-ანსამბლისტის თვისებები გამოამჟღავნა. რამდენიმე დღის შემდეგ კი ვ. იეროვინი თბილისელი მსმენელების წინაშე წარსდგა, როგორც სოლისტი (ბეთჰოვენის, შოპენის და სხვათა ნაწარმოებებით).

მაღალ შეფასებას იმსახურებს საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის აკომპანემენტი შოსონისა და ბრუხის ნაწარმოებების შესრულების დროს. გარდა ამისა, ორკესტრმა რ. ტაკიძის დირიჟორობით წარმატებით დაუკრა ჩაიკოვსკის მეოთხე სიმფონია.

საკონცერტო საღამოებმა უდიდესი სიამოვნება მიანიჭა მსმენელებს.

გ. ტორაძე.

პრობლემა, ჰიპოთეზა, ფაქტი

უსაფრთხო საგზაო ბოძი

სსრკ. გზების ცენტრალურ საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტში შეიმუშავეს ახალი ტიპის საგზაო ბოძებისა და საგზაო ნიშნების საყრდენები.

პრინციპულად ახალი კონსტრუქცია დიდი სიჩქარით მომავალი მანქანის დაჯახებისას ისე ინგრევა, რომ თითქმის არ აყენებს ზიანს ავტომანქანასა და მგზავრებს.

თავით აღმოსავლეთისკენ

ინდოეთი. ინდოელ მეცნიერთა კონგრესზე ქალაქ ჩანჩში (ბიჰარის შტატი) აღინიშნა, რომ მშვიდი და სრულფასოვანი ძილისთვის აუცილებელია თავი აღმოსავლეთისაკენ გვქონდეს. ძილის დროის ყველაზე ცუდი ყოფილა თავით ჩრდილოეთისკენ წოლა.

პროფესორმა სარადა სუბრამანიამმა (მადრასის უნივერსიტეტი) ექსპერიმენტულად დაამტკიცა, რომ ძილის დროს დედამიწის მაგნიტურ ველში ადამიანის სხეულის მდებარეობა გავლენას ახდენს თავის ტვინის მიკროელექტრული პროცესების აქტიურობაზე.

ინფექციათა საწინააღმდეგო პრეპარატი

სოფიის სამედიცინო აკადემიის ინფექციურ დაავადებათა საკვლევ-სამედიცინო ინსტიტუტის თანამშრომლებმა შეიმუშავეს პრეპარატი „იმუნოგენინი", რომელიც მძიმე ბაქტერიული და ვირუსული ინფექციების სამკურნალოდ იხმარება.

ეს წამალი აძლიერებს ორგანიზმის იმუნური სისტემის მოქმედებას და ზოგიერთი მონაცემით ანალოგიურ საზღვარგარეთულ საშუალებებზე უკეთესია.

კბილებს გვიხსნის... სინათლის სხივი

იაპონია. „იდა ტოკუსიტე კაის ფირმამ" (ქ. კიოტო) გამოუშვა კბილის ჯაგრისი, რომელშიც კბილის პასტის როლს მზის ან უბრალოდ დღის სინათლე ასრულებს.

ჯაგრისის სახელურში ჩამონტაჟებულია ტიტანის ორჟანგის ნახევარგამტარის ღერო. მუქის ზემოქმედებით ამ ღეროდან გამოიყოფა ელექტრონები, რომლებიც წყალში კბილებსა და ჯაგრის შორის ელექტრომუხტს წარმოშობს. ელექტრომუხტი კი კბილებზე ხდებს ცილს, რომელსაც მერე წყალი ჩამორეცხავს.

ბავშვები: წონა და სიმაღლე

აშშ. ექიმები ვარაუდობენ: მშობლების შიში, ბავშვები ზედმეტად არ გაგვისუქდნენო, აფერხებს მათ ზრდასა და მომწიფებას. 9-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ მათი შედარებითი ტანმორჩილობა და გვიანი მომწიფება მშობლების მიერ კვების ხელოვნურმა შეზღუდვამ გამოიწვია.

ექიმებთან მოთათბირების შემდეგ მოხარდეს დიეტის კალორიულობა გაეზარდათ და ამის შემდეგ ბავშვები ნორმალურად განვითარდნენ.

უფრთხილდით სიგარეტს!

გდრ. გერმანელი ონკოლოგების მეშვიდე ყრილობაზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ონკოლოგიური კვლევის ცენტრალური ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა შტეფან ტანებერგერმა ასეთი ციფრები დაასახელა — ერთი მილიონი ადამიანიდან — იღუპება:

— სავიაციო კატასტროფებში საშუალოდ 1 კაცი 50 წლის განმავლობაში;

— ალკოჰოლის უზომოდ მიღების შედეგად 1 კაცი ყოველ 4-5 დღეში;

— საავტომობილო ავარიებში 1 კაცი 2-3 დღეში;

— თამბაქოს წევის შედეგად 1 კაცი ყოველ 2-3 საათში.

ეს მონაცემები მიღებულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის ნაადრევი სიკვდილიანობის მიზეზების შესწავლისას.

ამ სტატისტიკიდან ჩანს, რომ თანამედროვე ადამიანის ყველაზე საშიში მტერი თამბაქოს წევაა.

საფეხბურთო მარათონი დაიწყო

ბუქარესტი. ბუდაპეშტი [illegible] შეხვედრის პირველი ტაიმის საწყისი პერიოდი თბილისელებმა მძაფრი იერიშებით დაიწყეს. ამიტომ ტამპერეელი მეტოქეების დაცვითი რგოლი ერთთავად დაძაბული გახლდათ და ზედიზედ ოთხჯერ კუთხურზედაც კი მოუხდათ ბურთის გაგზავნა. ერთხელაც საქმე იქამდე მივიდა, რომ გუცაევი წააქციეს და მათს კარში პენალტი დაინიშნა, მაგრამ მეკარემ ალლოთ ულდ შენგელიას დარტყმას და ბურთი მოიგერია. მახპინძლები ამის მერეც საიერიშო მოქმედების ერთგული დარჩნენ და შესვენებამდე ორი გოლის გატანა შესძლეს. ჭერ იყო და ცხავამ მოედნის სიღრმიდან ჩინებული პასი „ჩაჰკიდა" მეტოქეთა საჭარიმოსკენ ბურთს სულაკველიძე დაეუფლა და ანგარიში გახსნა — 1:0. მეორე შემთხვევაშიც იერიში ცხავამ წამოიწყო, მან ძლიერად დაარტყა ბურთი კარისკენ და მეკარე იანოვსკიმ ძნელ ვითარებაში მართალია, შეძლო ბურთის მოგერიება, მაგრამ იქვე გაჩნდა შენგელია და ანგარიში გაზარდა — 2:0.

შესვენებამდეც და მას შემდეგაც თბილისელებმა ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს.

მეორე ტაიმში, უფრო ზუსტად კი მის დასკვნით ნაწილში დინამოელებმა თამაშის ტემპს შესამჩნევად უკლეს. ეტყობა ამ პერიოდისათვის ფიზიკური გამძლეობა აღარ ეყოთ და ამიტომ ადრე არც თუ ურიგოდ წარმართულმა თამაშმა თავისი პეწი დაკარგა.

თბილისელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ქანთარია, ჩიკიძე, ჩივაძე, თევზაძე, არზიანი, სიჭინავა, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ცხავა (ცაგოლაშვილი), შენგელია (ქვანია).

ჯ. ინუაიძე.

• • •

გუშინ უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის კიდევ ოთხი კალენდარული მატჩი გაიმართა. გთავაზობთ შედეგებს: „დნეპრი"-„ქალგირია" — 2:2, „ყაირათი"-კიევის „დინამო" — 1:1, „ნეფთჩი"-მოსკოვის „დინამო" — 1:2, ცსკა-როსტოვის ასკ — 2:1.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. ივნისადება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსი, კოსტავას 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20